



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება:ბ52. 522300912

თარიღი:09/01/2023

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის „ე.ე.“ და „ე.ვ.“ ქვეპუნქტების, იმავე კანონის 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 62-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი.
2. სამუშაო ჯგუფი განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:
 - 2.1. ჯგუფის ხელმძღვანელი - ემზარი კუჭუაშვილი -საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე.
 - ჯგუფის წევრები:
 - 2.2. ალექსი გილაშვილი - საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.
 - 2.3. ბექა ფეიქრიშვილი- ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის,მშენებლობის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი.
 - 2.4. კახაბერ მარგებაძე - იურიდიული სამსახურის უფროსი.
 - 2.5. თინათინ ძაბილაშვილი - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
 - 2.6. ივანე ფანოზიშვილი - მერის წარმომადგენელთა საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების უფროსი.
 - 2.7. ილია მატიაშვილი - ადამიანური რესურსების მართვისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი.
3. დაევალოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნების ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება ოფიციალური წესით კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სიღნაღის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სიღნაღი, ცოტნე დადიანის ქუჩა N15).

ავთანდილი გულიკაშვილი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

